მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

წლიური ანგარიში
2010

სარჩევი

ზოგადი ცნობები
პროგრამული პრიორიტეტები
საპროექტო საქმიანობა

დანართი

კავკასიური ინსტიტუტის მიერ 2010 წელს განხორციელებული პროექტები
კავკასიური ინსტიტუტის მიერ 2010 წელს ჩატარებული ღონისძიებები

მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი 72, თბილისი 0154, საქართველო
სააბონენტო ყუთი 101, თბილისი 0108, საქართველო
ტელ: (995 32) 35 51 54, ფაქსი (995 32) 35 57 54
ელ-ფოსტა: info@cipdd.org;
www.cipdd.org

ზოგადი ცნობები

კავკასიური ინსტიტუტი საჯარო პოლიტიკის კვლევის ცენტრია; ის, ძირითადად, საქართველოში წარმართავს თავის საქმიანობას, თუმცა სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვა-ბალტიკის სივრცეზე მიმდინარე ერთობლივ პროექტებშიც მონაწილეობს. ინსტიტუტი ხშირად არის სხვა - ქართული თუ უცხოური - სამოქალაქო ორგანიზაციის პარტნიორი ან რომელიმე კოალიციის წევრი; ამასთან, თანამშრომლობს საქართველოს ხელისუფლებასთან, პოლიტიკურ პარტიებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

კავკასიური ინსტიტუტი აწარმოებს კვლევებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს საჯარო პოლიტიკის სფეროში, გამოსცემს პუბლიკაციებს შესაბამის თემებზე, აწყობს კონფერენციებს, მრგვალ მაგიდებს და საჯარო დისკუსიებს. ინსტიტუტი აგრეთვე ატარებს სასწავლო თრეინინგებს და სემინარებს თავისი კომპეტენციის სფეროებში.

მისიის გაცხადება

ჩვენ გვინდა, რომ დემოკრატია იყოს არა ახალი დოგმატური იდეოლოგია, სადაც საზოგადოების ავანგარდი ერთადერთ სწორ იდეას ახვევს თავს "ჩამორჩენილ" თანამოძმეებს, არამედ პროცესი, რომელშიც მოქალაქეები პასუხისმგებლობას იღებენ პოლიტიკურ პროცესებზე.

კავკასიური ინსტიტუტი არის საზოგადოებრივი დისკუსიის კატალიზატორი: ჩვენ მოვიპოვებთ ცოდნას საზოგადოებრივი პრობლემების შესახებ, ვთავაზობთ საზოგადოებას მათ ანალიზს, შეფასებას და გადაწყვეტის ვარიანტებს, ვაფართოვებთ იმ ადამიანთა წრეს, ვისაც უნდა და შეუძლია ჩაერთოს საჯარო პრობლემებზე ბჭობაში.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობს მისი თავმჯდომარე, გია ნოდია. მუდმივ ადმინისტრაციულ შტატს (ექვსი წევრი) ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი, ავთანდილ ჯოხაძე უდგას სათავეში. საპროგრამო საქმიანობას კოორდინაციას უწევს ინსტიტუტის საბჭო, რომელიც შედგება ინსტიტუტის თავმჯდომარის, აღმასრულებელი დირექტორის და პროექტების ხელმძღვანელებისაგან.

კავკასიური ინსტიტუტის სტრატეგიას განსაზღვრავს და საქმიანობას ზედამხედველობს გამგეობა, რომლის წევრებიც არიან:

- მარატ ბარათაშვილი
- ოლესია ვართანიანი
- გიგა ზედანია (გამგეობის თავმჯდომარე)
- ზაზა თევზაძე
- ეკა კვესიტაძე
- გია ნოდია
- ჩარლზ ჰ. ფერბენქსი

კავკასიური ინსტიტუტის ფინანსები

ინსტიტუტის საქმიანობა დონორების მხარდაჭერაზე, მისი თანამშრომლების, პარტნიორების და კოლეგების ენთუზიაზმსა და პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული. მისი ფინანსების ნაწილი მოდის სხვა წყაროებიდანაც. მაგალითად, ინსტიტუტის თანამშრომლების შემოწირულობებიდან, ინსტიტუტის გამოცემების გაყიდვაით მიღებული შემოსავალიდან...
2010 წელს ინსტიტუტის აქტივებმა 645 700 ამერიკული დოლარის ეკვივალენტი შეადგინა.

პროგრამული პრიორიტეტები

2010 წელს კავკასიური ინსტიტუტი განაგრძობდა საქმიანობას სტრატეგიული გეგმით მონიშნულ სამ სფეროში: საჯარო პოლიტიკა, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, სამოქალაქო ინტეგრაცია. ინსტიტუტის საქმიანობამ მოიცვა: სკოლებში განათლების რეფორმის მხარდაჭერა; საჯარო პოლიტიკის შემუშავების სტანდარტული ხერხების სწავლება; პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციური ანალიზი; ეთნო და რელიგიური უმცირესობების სამოქალაქო აქტივობის ხელშეწყობა; დამოუკიდებელი რეგიონული მედიის ქსელური კავშირების შექმნა და განმტკიცება და სხვა.

კავკასიური ინსტიტუტის დონორები

2010 წლის განმავლობაში ინსტიტუტის საქმიანობას მხარს შემდეგი დონორები უჭერდნენ:

- ევროკომისია (EC)
- ევანგელისტური განვითარების სამსახური (EED)
- დემოკრატიის ეროვნული ფონდი (NED)
- ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის კვლევითი ცენტრების ფონდი (OSI TTF - Budapest)
- ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატი (OSCE)
- რეგიონალური თანამშრომლობის შავი ზღვის თანამეგობრობა (Black Sea Trust for Regional Cooperation)
- ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)
- ადგილობრივი ხელისუფლების და საჯარო სამსახურების რეფორმირების ინიციატივები (PASOS/LGI)
- უსაფრთხო მსოფლიო (Safeworld)
- ნიდერლანდების საგარეო სამინისტრო
- ღია საზოგადოება საქართველო (OSGF)
- ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიული ინსტიტუტი (NIMD)

საპროექტო საქმიანობა

სამოქალაქო საზოგადოების განვითარება

რეგიონალური თანამშრომლობის შავი ზღვის თანამეგობრობის (The Black Sea Trust for Regional Cooperation) და ამერიკის საერთშორისო განვითრების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტი - **"სამოქალაქო ორგანიზაციების ეროვნული ქსელი"** - მიზნად რეგიონალური ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას და ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში რეგიონების მკვიდრთა უფრო აქტიურ თანამონაწილეობას ისახავდა. კავკასიურ ინსტიტუტში საამისოდ ათმა რეგიონალურმა ორგანიზაციამ მოავლინა წარმომადგენლები პოლიტიკის ანალიზის ჩატარების და მასზე დაყრდნობით თვითმმართველობის ორგანიებთან თანამშრომლობის უნარის შესაძენად. სათანადო თრეინინგ–კურსის მერე, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან მოვლინებულმა ახალგაზრდებმა თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობის კონკრეტული გზების დასახეს.

2010 წელს კავკასიურმა ინსტიტუტმა დაასრულა წინა წელს დაწყებული პროექტი – **„სამოქალაქო საზოგადოების კვლევა საქართველოში“** (დონორი - „ღია საზოგადოება საქართველო“). პროექტის მიზანი სამოქალაქო საზოგადოების ინდექსის დადგენა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სამოქმედო გეგმის შემუშავება გახლდათ. ინდექსის დასადგენი კვლევა „სივიკუსის“ (მსოფლიო ალიანსი მოქალაქეთა მონაწილეობისთვის www.civicus.org) მეთოდოლოგიას დაეყრდნო, რაც საზოგადოების შემდეგი განზომილებების მიხედვით შეფასებას გულისხმობდა: პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეების ჩართულობა; სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი; სამოქალაქო საზოგადოების ღირებულებები; გარემო და მისი გავლენა. საპროექტო მიზნის მისაღწევად თბილისსა და რეგიონებში ათ ფოკუს ჯგუფზე მოეწყო დაკვირვება. გამოწვლილვით იქნა შესწავლილი ხუთი საკითხი (case study): 1. ბიზნესის წარმომადგენლები არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კორპორაციული პასუხისმგებლობის შესახებ; 2.საქართველოს წამყვანი ტელეკომპანიების საინფორმაციო გადაცემები სამოქალაქო საზოგადოების შესახებ; 3. ანგარიშვალდებულების ფორმები და პრაქტიკები საქართველოს სამოქალაქო სექტორში; 4. მოხალისეობა თანამედროვე საქართველოში - პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციების მაგალითზე; 5. პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირის გავლენა განათლების პოლიტიკის ფორმირებაზე 2004-2008 წლებში.

პროექტის განხორციელების პროცესში შეიქმნა სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სტრატეგიის შემუშავებისთვის საჭირო „საგანგებო ინდექსი“. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დაიწერა შემაჯამებელი პოლიტიკური ნარკვევი - საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების შეფასება (2010) და სამოქმედო გეგმა (policy brief). სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა წრიდან დაკომპლექტდა თორმეტკაციანი მრჩეველთა საბჭო, რომელმაც შეიმუშავა სამოქალაქო საზოგადოების განვითარების რეკომენდაციები. შემაჯამებელი ნარკვევი ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოიცა.

2010 წელს დაიწყო და 2013 წლამდე გასტანს როტერდამის ერასმუსის უნივერსიტეტის სოციალური კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობით მიმდინარე პროექტი: **„დეცენტრალიზაციის და ადგილობრივი მმართველობის რეფორმირების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის ხეშეწყობა“** (დონორი: ნიდერლანდების საგარეო სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის დირექტორატი).

ადგილებზე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში თანამონაწილეობის უნარმქონე სამოქალაქო ორგანიზაციების და სათემო წარმომადგენლობის შექმნის მიზნით მუშაობა უკვე ხუთი მიმართულებით არის გაშლილი: (1) სამოქალაქო ორგანიზაციებისა და ინიციატივიანი მოქალაქეებისათვის საქართველოს 8 რეგიონში ტარდება თრეინინგკურსები სათანადო უნარ-ჩვევების გამომუშვების მიზნით; (2) დეცენტრალიზაციის საკითხებზე მზადდება პოლიტიკური ნარკვევები (policy paper) და ეწყობა საჯარო დებატები ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე; (3) იქმნება ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელი და დეცენტრალიზაციის საკითხების სპეციალური ბიბლიოთეკა; (4) მოსახლეობაში ტარდება გათვითცნობიერებულობის დონის ამაღლების კამპანიები; (5) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მზადდება ორი საუნივერსიტეტო კურსი დეცენტრალიზაციის და თანამონაწილეობის სტრატეგიის საკითხებზე.

პროექტის სამიზნე ჯგუფი არასამთავრობოების, მედიაორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი ხელისუფლების და მუნიციპალური საბჭოს წევრების, მკვლევარების და სტუდენტებისგან შედგება.

პროექტის ფარგლებში განზრახულია ფორუმის დაარსებაც, რომელიც დაინტერესებულ ექსპერტებს და თემების ორგანაიზერებს საშუალებას მისცემს დეცენტრალიზაციის პროცესში ჩაერთონ.

დემოკრატიული რეფორმები და პოლიტიკის კვლევები

2010 წელს, ბუქარესტის საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტთან თანამშრომლობით და ფონდის "რეგიონალური თანამშრომლობის შავი ზღვის თანამეგობრობის" ფინანსური მხარდაჭერით, **„შავი ზღვის რეგიონში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური მექანიზმების და წარმატებული გამოცდილების“** კვლევის პროექტი განხორციელდა.

ინსტიტუტის ექსპერტების მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით 2010 წელს, კავკასიურმა ინსტიტუტმა ბუქარესტის საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტთან ერთობლივი პროექტი - **„შავი ზღვის რეგიონში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური მექანიზმები და პრაქტიკა: რუმინეთის, ბულგარეთის, თურქეთის და საქართველოს გაკვეთილები და შემდგომი ნაბიჯები“** განხორციელა

(დონორი - „რეგიონალური თანამშრომლობის შავი ზღვის თანამეგობრობის" (Black See Thrust for Regional Cooperation) - საგანგებოდ შექმნილმა სამუშო ჯგუფმა მიმდინარე ანტიკორუფციული პოლიტიკის (კანონმდებლობა, ინსტიტუტები, პრაქტიკა) კვლევის მეთოდოლოგია შეიმუშავა, განისაზღვრა საქართველოში ანტიკორუფციული პოლიტიკის სამართლებრივი, ინსტიტუციური და პრაქტიკული შემადგენელი და პოლიტიკის ნარკვევი (policy paper) შეიქმნა. პროექტის ფარგლებში საქართეველოს მაგალითზე კორუფციასთან ბრძოლის წარმატებული გამოცდილების ამსახველი რეგიონალური კონფერენციაც ჩატარდა. დაისახა რეგიონის სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების ურთიერთშეჯერების სამომავლო გეგმებიც.

ველი გამოხმაურებას თაკოდან

„დემოკრატიის ეროვნული ფონდის" (NED) დაფინანსებული პროექტი – **„დემოკრატიული რეფორმის პოლიტიკის დღის წესრიგის შემუშავება"** მიზნად დემოკრატიის თაობაზე დებატების ხარისხის გაუმჯობესებას და განსახილველი საკითხების წრის გაფართოებას ისახავს.

შვიდი ექსპერტისგან შემდგარმა მრჩეველთა საბჭომ (დავით აფრასიძე – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დეკანი; გია არეშიძე – „პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისათვის"; გიგა ზედანია – პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; რამაზ საყვარელიძე – პროფესორი, ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი; მალხაზ სალდაძე – „ღია საზოგადოება საქართველო"; გიორგი ჩხეიძე –"აღმოსავეთ-დასავლეთის მენეჯმენტის ინსტიტუტი"; ლევან ცუცქირიძე – "ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტის" წარმომადგენელი საქართველოში) საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების ოთხი მკაფიოდ გამოკვეთილი პრიორიტეტი გამოარჩია და საკითხთა ის წრე მოხაზა, რომელთა შემდგომი დამუშავებაც წინასწარ შემუშვებული მეთოდოლოგიის და კითხვარების გამოყენებით მოხდება;

პროექტის ფარგლებში ოთხი "საპოლიტიკო ანგარიშის" (policy paper) შექმნა და მათი – როგორც ქართულ, ისე ინგლისურ – ენებზე გამოცემაა დაგეგმილი. ანგარიშები კავკასიური ინსტიტუტის ვებგვერდზე განთავსდება; შესაძლებელია მათი ბლოგის მეშვეობით განხილვაც. გამოვლენილ პრობლემატურ საკითხებზე რვა საგაზეთო სტატია გამოქვეყნდება.

ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიული ინსტიტუტთან (NIMD) თანამშრომლობით და ამავე ინსტიტუტის ფინანსური მხარდაჭერით 2010 წლის პირველ ნახევარში კავკასიური ინსტიტუტი ახორციელებდა კვლევით პროექტს: **„პოლიტიკური პარტიების მიერ 2009-2010 წლების საკონსტიტუციო რეფორმების შეფასება."** პროექტის ფარგლებში განისაზღვრა საქართველოს პოლიტიკური განვითარების ძირითადი ვექტორები; განსაკუთრებული აქცენტი საკონსტიტუციო და საკანონმდებლო პროცესზე გაკეთდა; დადგინდა კვლევის სტრატეგია, შემუშავდა პოლიტიკური პარტიების ხედვის ყოველთვიური გადამოწმების სისტემა. კვლევის პროცესში კავკასიური ინსტიტუტი ლოჯისტიკურ დახმარებას უწევდა ჰოლანდიელ პარტნიორს (NIMD). საბოლოო შედეგის სახით – საქართველოში მოქმედი გავლენიანი პოლიტიკური პარტიების საკონსტიტუციო რეფორმისადმი დამოკიდებულების სურათი გამოიკვეთა.

„ადგილობრივი ხელისუფლების და საჯარო სამსახურების რეფორმირების ინიციატივებთან" (PASOS/LGI – Local Government and Public Service Reform Initiative) თანამშრომლობით და ბუდაპეშტის "ღია საზოგადოების ინსტიტუტის" (OSI TTF) ფინანსური შემწეობით კავკასიური ინსტიტუტი პროექტს – **„ევროკავშირსა და აღმოსავლეთის პარტნიორობის მონაწილე ქვეყნებს შორის უვიზო მიმოსვლისთვის გზის გაკვალვა"** - ახორციელებს. პროექტის მიზანი აღნიშნულ ქვეყნებს შორის უვიზო მიმოსვლის დაკანონების პროცესის დაჩქარება და ამ ქვეყნების მოქალაქეთა პირადი ურთიერთკავშირების გაინტესიურებაა. საამისო ღონისძიებებს შორის უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებულ სამართლებრივ გადაწყვეტილებებზე და ინსტიტუტების ფორმირების პროცესზე მონიტორინგიცაა; უსაფრთხო უვიზო მიმოსვლის საკითხში გამოცდილების ასათვისებლად აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების თანამზრახველებთან (stakeholders) დიალოგი იმართება, - პროექტის ფარგლებში შეიქმნა ვებგვერდი www.novisa.ge

სამოქალაქო ინტეგრაცია

ევანგელისტური განვითარების სამსახურის (EED) პროექტი **“ უმცირესობათა საინტეგრაციო გარემოს გაუმჯობესება განათლების რეფორმების მხარდაჭერით“** - საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა მეტ ჩართულობას და სხვადასხვა ეთნო–რელიგიური ჯგუფის სამოქალაქო უფლებების დაცვას გულისხმობდა. პროექტი სამწლიანი იყო და 2008-2010 წლებში მიმდინარეობდა.

2010 წელს კავკასიური ინსტიტუტი საჯარო სკოლის მასწავლებელებს უტარებდა თრეინინგს, ტოლერანტული შეგნებისა დანერგვის და სკოლაში კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემისთვის საჭირო ღონისძიებების სწავლების მიზნით.

2010 წელს დასრულდა რელიგიის ისტორიის სახელმძღვანელოზე მუშაობა; წიგნი გამოიცა.

პროექტის გეგმებში სასკოლო სამეურვეო საბჭოებზეც ზრუნვაც შედიოდა, რაც სკოლის ადმინისტრაციის და სამეურვეო საბჭოს ქმედუნარიანობის ასამაღლებკად საჭირო მეთოდოლოგიის შემუშავებაში გამოიხატა. ამ მეთოდოლოგიის საფუძველზე კავკასიურმა ინსტიტუტმა თრენერები რეგიონების მკვიდრებიდან მოამზადა, რამაც საშუალება მოგვცა სამუშაოები ეთნოუმცირესობების ენებზე: სომხურად და აზერბაიჯანულად ჩაგვეტარებინა (ადგილობრივი თრენერები თავდაპირველად კავკასიური ინსტიტუტის თრენერების ზედამხედველობით მუშაობდნენ, შემდეგ - დამოუკიდებლად). სკოლებთან ურთიერთობაში კავკასიურ ინსტიტუტს ბოლნისის რაიონის თვითმმართველობა და განათლების რესურს–ცენტრი უწევდა დახმარებას.

სახელმწიფოს მიერ განათლების სფეროში 2009 წელს გატარებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა არაქართულენოვან სკოლების სასწავლო პროცესზე; მომხდარი ცვლილებების ამსახველი პოლიტიკის ანგარიში კავკასიურმა ინსტიტუტმა ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოსცა. ანგარიშს წინ დისკუსია უსწრებდა, რომელშიც განათლების სამინისტროს, არასამთვრობო ორგანიზაციების, ილიას და სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის და რეგიონების არაქართულენოვანი სკოლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

პროექტის - **"დამოუკიდებელი მედია სამოქალაქო ინტეგრაციისთვის"** ფარგლებში კავკასიური ინსტიტუტი პარტნიორ ორგანიზაციებთან ("სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი" (საქართველო), "გამომძიებელ ჟურნალისტთა ასოციაციის კვლევითი ცენტრი – რეგიონი" (სომხეთი) და "აზერბაიჯანის ჟურნალისტთა დაცვის ლიგა") ერთად განაგრძობდა სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მედიის ხელშეწყობის გზით ეთნო-უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციისკენ მიმართულ ღონისძიებებს. პროექტი სამი ძირითადი შედეგის მიღწევას იზრახავდა: უმცირესობების ინტეგრაციაზე ორიენტირებული მედია პროდუქციის შექმნას; ჟურნალისტთა პროფესიული უნარების ზრდას და სამხრეთ კავკსიის ჟურნალისტთა ქსელის გაძლიერებას - მასში რეგიონის ჟურნალისტების ჩართვით. კავკასიური ინსტიტუტი ჟურნალისტებს როგორც ტექნიკური სიძნელეების დაძლევაში, ისე პროფესიულ დაოსტატებაში დაეხმარა, "კავკასიის ჟურნალისტთა ქსელში" ამ ჟურნალისტების ჩართვით კი - მათ საჭირო ინფორმაციის მოპოვება გაუიოლა.

ორ თრეინინგ-პროგრამას ("რეგიონის ჟურნალისტების სირთულეები, ქმედითი კომუნიკაცია და პრობლემების გადჭრა"; "ახალი ამბების რეპორტინგი, წამყვანი ქართული გაზეთების მოთხოვნათა შესატყვისი ჟურნალისტური უნარები") თრეინინგების სერიები: პროექტის ციკლის მართვა; სტრატეგიული დაგეგმვა; ორგანიზაციული განვითარება - მოჰყვა (სათანადო მასალა caucasusjournalists.net-ზეა განთავსებული. ამავე საიტზე გამართული დისკუსიების და ონლაინ ინტერვიუების ხილვაც არის შესაძლებელი; სულ პროექტის განამვლობაში 30 ინტერვიუ და 8 ონლაინ კონფერენცია გაიმართ).

პროექტის დასასრულს დამოუკიდებელი ორგანიზაცია - "რეგიონული პრესის ურთიერთდახმარების და განვითარების ფონდი" ჩამოყალიბა.

კონფლიქტები: მონიტორინგი და ანალიზი

2010 წელს კავკასიურმა ინსტიტუტმა გააგრძელა ეუთოს მიერ დაფინანსებული კვლევისა და ანალიზის პროგრამა - **"სიტუაციის მონიტორინგი სამცხე-ჯავახეთში",** რომელიც 2000 წლიდან მოყოლებული ხორციელდება. რეგიონალური კორესპოდენტების ინდივიდუალური ანგარიშების და მედია ანალიზის საფუძველზე ინსტიტუტი პროექტის ფარგლებში ყოველთვიურ ზოგად-ანალიტიკურ

ანგარიშგებას ამზადებს. პროექტის ბენეფიციარები საქართველოს ხელისუფლება (საგარეო საქმეთა სამინისტრო) და ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE) არიან. ყოველთვიურ შემაჯამებელ ანგარიშები მათ სამომავლო პოლიტიკის დაგეგმვაში ეხმარება.

2009 წელს დაიწყო და 2010 წლის აგვისტოში დამთავრდა ევროკომისიის დაფინანსებული პროექტი - **"ადრეული გაფრთხილების სისტემის მოწყობა შიდა ქართლის რეგიონში"** (პროექტი გერმანულ ორგანიზაციასთან -"Pro NGO" თანამშრომლობით განხორციელდა). მიზანს ოკუპირებული ცხინვალის მომიჯნავე რეგიონის მონიტორინგი, სიტუაციის ანალიზი და დაინტერესებული მხარეებისთვის (სახელისუფლებო ინსტიტუტების, საქართველოს სამოქალაქო ორგანზიაციების, საერთაშორისო ორგანზიაციების, განსაკუთებით - ევროკავშირის მონიტორინგის მისიის, ევროკომისიისთვის) კვლევის შედეგების გაცნობა შეადგენდა. პროექტის ფარგლებში რეგიონიდან დევნილეთა პრობლემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციებს შორის ინფორმაციის გაცვლის ქსელური სისტემაც აეწყო.

მონიტორები (6 ადგილობრივი კორესპოდენტი) ყოველთვიურ ანგარიშებს ამზადებდნენ. მიღებული მასალების და ქართულ ბეჭდით მედიაში შიდა ქართლის მოვლენების ამსახველი სტატიების ანალიზის საფუძველზე კი კავკასიური ინსტიტუტი ყოველთვიურ ანგარიშგებას ახდენდა. ანგარიშებისას რეგიონის ვითარება პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი და ინსტიტუციური ინდიკატორების მიხედვით ანალიზდებოდა. მასალა კავკასიური ინსტიტუტის ვებგვერდზეა გამოქვეყნებული (www.cipdd.org); ადგილობრივი მონიტორების 66 კორესპოდენცია საერთო ჯამში თერთმეტ შემაჯამებელ ანგარიშს და სამ კვარტალურ მიმოხილვას დაედო საფუძვლად.

ვითარების გაანალიზების შედეგად გამოვლენილ პრობლემურ საკითხებზე კავკასიურ ინსტიტუტში სამი მრგვალი მაგიდა ჩატარდა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, ევროსაბჭოს, ევროკავშირის მონიტორინგის მისიის, ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლების მონაწილეობით.

2010 წელს გრძელდებოდა ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტი - **"კონფლიქტის, უსაფრთხოების და მშვიდობის შესახებ ფართო და ინფორმირებული დიალოგის ხელშეწყობა"**, რომელიც კავკასიურმა ინსტიტუმა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან და უსაფრთხო მსოფლიოსთან (safeworld) ერთობლივად დაიწყო და რომლის მიზანიც საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობა და სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის უსაფრთხოების და სამშვიდობო პრობლემატიკის გაანალიზების უნარის გამომუშავებაა. ამ მიზნით სამეგრელოში, სამცხე-ჯავახეთსა და შიდა და ქვემო ქართლში, ოთხი რეგიონალური ფორუმი - "დიალოგი სამოქალაქო საზოგაოდების ორგანიზაციებს შორის" - შეიქმნა. რეგიონალურმა ფორუმებმა დიალოგის პროცესში კონფლიქტების ერთობლივი ანალიზის და პრიორიტეტული სამშვიდობო ინიციატივების განსაზღვრის უნარი გამოიმუშავეს და გადაწყეტეილებების მიმღები პირებისადმი რეკომენდაციები შეიმუშავეს. შეიქმნა რეგიონებში ვითარების ამსახველი ანალიტიკური დოკუმენტი. პროექტის ფარგლებში არაერთი შეხვედრა გაიმართა ოთხივე ხსენებული რეგიონის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. საკონსულტაციო მომსახურება სხვადასხვა სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენლებს გაეწია.

კავკასიური ინსტიტუტი „უსაფრთხო მსოფლიოსთან“ (Saferworld) და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან ერთად კიდევ ერთ პროექტს, **„სამოქალაქო საზოგადოების და ხელისუფლების დიალოგის გაღრმავება კონფლიქტით დაზარალებული თემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის თობაზე“** - ახორცილებს. პროექტის უმთავრესი მიზანი კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებში ადგილობრივი თემების გათვითცნობიერების და ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან მათი დიალოგის ხელშეწყობაა. თბილისში, ისევე როგორც საქართველოს 4 სხვა რეგიონში კონფლიქტებით დაზარალებული თემების პრობლემატურ საკითხებზე დისკუსიების ციკლი - "ერთად დავგეგმოთ მშვიდობა" ჩატარდა.

კონფერენციები. საჯარო დისკუსიები

გასულ წელს კავკასიურმა ინსტიტუტმა არაერთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხე გამართა საჯარო დისკუსია, ჩაატარა შეხვედრები და კონფერენციები, გამოსცა "პოლიტის ნარკვევები " (policy paper),:

ციკლის "ერთად დავგეგმოთ მშვიდობა" ფარგლებში საჯარო დისკუსიები გაიმართა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში:
19 მარტს - გორში
20 მარტს - ახალციხეში
26 მარტს - რუსთავიში
27 მარტს - ანაკლიაში
31 მარტს - თბილისში

სადისკუსიო მასალა - აუდიო ჩანაწერები, ტრანსკრიპტი, ფოტოები, პოდკასტი - განთავსებულია კავკასიური ინსტიტუტის ვებ-გვერდზე www.cipdd.org. აქვეა გახსნილი ბლოგები, ანუ შესაძლებელია კომენტარის გაკეთება თითოეული გამოცემის პრობლემურ საკითხებზე.

კავკასიური ინსტიტუტის პარტნიორი ორგანიზაციები

2009 წელს ინსტიტუტმა ერთობლივი პროექტები განახორციელა შემდეგ ორგანიზაციებთან:

1. სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი (SIF)
2. გამომძიებელ ჟურნალისტთა ასოციაციის კვლევითი ცენტრი (სომხეთი)
3. აზერბაიჯანის ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი (აზერბაიჯანი)
4. ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი (NIMD)
5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
6. ბრიტანული - უსაფრთხო მსოფლიო (SAFERWORLD)
7. გერმანული - Pro NGO!
8. ერაზმუსის უნივერსიტეტი
9. სოციალური ტრანსფორმაციის პროგრამა (MATRA)
10. მსოფლიო ალიანსი მოქალაქეთა მონაწილეობისთვის (CIVICUS)

კავკასიური ინსტიტუტის გამოცემები 2009 წელს

ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობა: სამოქალაქო საზოგადოების მოლოდინები და ახალი შესაძლებლობები
პოლიტიკის ანგარიში
თამარ პატარაია
თებერვალი 2010
პოდკასტი

[თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების მოსალოდნელი დარეგულირება: გავლენა საქართველოზე]
პოლიტიკის ანგარიში
გია ნოდია
იანვარი 2010
[პოდკასტი]

მოსახლეობის ინფორმირების დონე სოციალურ უფლებებზე-შიდა ქართლის მოსახლეობის ხედვა რეგიონში არსებული პრობლემების შესახებ
კვლევის ანგარიში
ნოემბერი 2010

როგორ აღიქვამს საზოგადოება ქვემო ქართლში, სამეგრელოში, სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს და შედეგებს

საზოგადოებრივი აღქმის ანგარიში
ივნისი 2010

კავკასიური ინსტიტუტის მიერ 2010 წელს განხორციელებული პროექტები

CIVICUS - სამოქალაქო საზოგადოების კვლევა საქართველოში
დონორი - ფონდი *ღია საზოგადოება - საქართველო*
ხანგრძლივობა - 01.10.2008 – 31.03.2010
მოცულობა - $ 32 000
კოორდინატორი - **თიკო ტყეშელაშვილი**
მიზანი - სამოქალაქო საზოგადოების კვლევა და მისი მომავალი განვითარებისთვის სამოქმედო გეგმის შემუშავება. სამოქალაქო საზოგადოების შეფასება შემდეგი განზომილებების მიხედვით:

სამოქალაქო ჩართულობა, ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი, ღირებულებები, გავლენა და გარემო.

[სამოქალაქო ორგანიზაციების ეროვნული ქსელი]
დონორი - Black Sea Trust for Regional Cooperatian. USAID.
ხანგრძლივობა - 12..05.2009-31.01.2010
მოცულობა - $ 24 714
კოორდინატორი - **ელენე ნოდია**
მიზანი - ხელი შეუწყოს ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართვას საჯარო პოლიტიკის შექმუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
The purpose - to increase policy analyses and advocacy skills of representatives of local comminities, foster comminication and cooperation between civil society and local authorities on regional development isues, and encourage partnerships between SCO from different regions as well as excheange of best practices among them.

[საინტეგრაციო გარემოს გაუმჯობესება საქართველოში მაცხოვრებელი უმციროსებებისათვის საშუალო სკოლის რეფორმირების მეოხებით]
დონორი - ევანგელისტური განვითარების სამსახური/ EED
ხანგრძლივობა - 1.01.2008-31.12.2010
მოცულობა - € 370 000
კოორდინატორი - **სოფო ზვიადაძე**
მიზანი - საქართველოში, როგორც მულტიეთნიკურ და მულტიკულტურულ სახელმწიფოში, უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაცია.

[დამოუკიდებელი მედია სამოქალაქო ინტეგრაციისთვის]
დონორი - ევროკომისია
ხანგრძლივობა - 2007-2010
მოცულობა - € 479 576
კოორდინატორი - **თაკო პატარაია**
მიზანი - დამოუკიდებელი მედიის გაძლიერება ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში

[სიტუაციის ანალიზი სამცხე-ჯავახეთში]

OSCE-The Organization for Security and Co-operation in Europe

Project - Georgia Reasearch and Analysisi (Monitoring Network) Project

01.01.2010 - 31.12. 2010

evro - 39 300

დონორი - ეუთო-ს უმცირესობათა კომისარი
ხანგრძლივობა - 01.01.2010 – 31.12.2010
მოცულობა - € 39 300
კოორდინატორი - **მარინა ელბაქიძე**
მიზანი - დაძაბულობის პოტენციური კერების მიკვლევა სოციო-პოლიტიკური ვითარების მონიტორინგის და ანალიზის გზით

ინსტიტუციური მხარდაჭერა 2009/2010
დონორი - ღია საზოგადოების ინსტიტუტის კვლევითი ცენტრების ფონდი (ბუდაპეშტი)
ხანგრძლივობა - 01.02.2009 – 31.01.2010
მოცულობა - $ 80 000
კოორდინატორი - **თიკო ტყეშელაშვილი**
მიზანი - კავკასიური ინსტიტუტის ორგანიზაციული მდგრადობის მხარდაჭერა; საქართველოს დემოკრატიული გარდაქმნის ხელშეწყობა.

შიდა ქართლის რეგიონში ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნა
დონორი - ევროკომისია (ბრიუსელი)
ხანგრძლივობა - 01.09.2009 – 30.08.2010
მოცულობა - € 39 995
კოორდინატორი - **მარინა ელბაქიძე**
მიზანი - შიდა ქართლში სიტუაციის მონიტორინგი და ანალიზი
Development of early warning system in
conflict affected Shida Kartli region of
Georgia

სეიფერვორდი - ერთი და მეორე
"Establishing Condition for Effective Conflict prevention and Transformation following the August 2008 Crisis"
01.09.2009 - 01.05.2001.
€ 79 942 ???
Objectev: Wider debate and availablitiy of information on conflict transformation within mainstream civil society and conflict-affected communities, including across conflict divides

ნედი

Developing a Policy Agenda for Democratic Reform
Georgia

Grantee:	Caucasus Institute for Peace Democracy and Development (CIPDD)
Amount Approved:	$40,810
Dates of Project:	October 1, 2010 – May 31, 2011
Reporting Period covered:	October 1, 2010 – January 31, 2011

პასოსი

PASOS/LGI (Local Government and Public Service Reform Initiative)
Paving the road towards cisa-free travel berween the Eastern Partnership countres and the EU
grantmaker: LGI of OSI (Open Society Insitute)
$ 17 000
The goal of the project is to create a tipping-point for the achievement of visa-free relations bertween the Eastern Partnership countries and EU member-states, and in the process to upgrade the legal and policy processes in the EaP countries and promote closer integration and

people-to-peole exchange and contacts between the Eastern Partnership countries and Eu member-state

მატრა

sefervordi 2.
Strengthening Civil Society-Government Dialogue on Conflict and Stability and Empowering Conflic Affected Communities on Thir Socurity Needs
FCO - Foreign and Commonwealth
01.07.2009 - 30.04.2011
Aims and objectives
Purpose: Strengthen civil society - government dialogue on conflict and stability - by both (a) increasing understanding by communities of national, regional and international policies and programmes related to conflict, and (b) increasing understanding of community concerns and priorities by local authorities and at the national level.
მოცულობა - € 16 565

არჩილ აბაშიძე
IPP - The Institute of Public Policy - Bucharest.
Effective Mechanisms and practices for fighting against corruption in the Black Sea Region: lessons learnt and further steps for Romania, Bulgaria Turkey and Georgia,
financed by The Black Sea Trust for Regional Cooperation
duration: 05.2010 - 10.2010.
$ 8700

პოლიტიკური პარტიების მიერ 2009-2010 წლების საკონსტიტუციო რეფორმების შეფასება
"Political Parties Cnstitutional Reform Assessment 2009-20010".
დონორი - ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი (NIMD)
ხანგრძლივობა - 01.01.2010 – 30.06.2010
მოცულობა - € 3 375
კოორდინატორი - **გია ნოდია**
მიზანი - საქართველოს პოლიტიკური პარტიების მიერ საკონსტიტუციო რეფორმებისადმი დამოკიდებულების კვლევა

2010 წელს ჩატარებული ღონისძიებები

სახელწოდება - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა საქართველოში
თარიღი - 11 ნოემბერი, 2009
ღონისძიების სახეობა - დისკუსია
ადგილი - კავკასიური ინსტიტუტი

07 დეკემბერი 2010
კულტურული მრავალფერივნების დღე სოფელ რაჭისუბანის სკოლაში

12 ნოემბერი 2010
ტრენინგების ციკლი: ვისწავლოთ კულტურული მრავალფეროვნების აღიარება

04 ნოემბერი 2010
მრგვალი მაგიდა: კორუფციასთან ბრძოლის ქმედითი მექანიზმები შავი ზღვის რეგიონში

04 ოქტომბერი 2010
კულტურული მრავალფეროვნების დღე სკოლაში

19 მაისი 2010
კულტურული მრავალფეროვნების დღე სკოლაში: პირველი საპილოტე ღონისძიება ბოლნისში

19 მაისი 2010
კულტურული მრავალფეროვნების დღე სკოლაში პირველი საპილოტე ღონისძიება ჩატარდება 2010 წლის 25 მაისს ქ. ბოლნისში.

2010 წლის 12 მარტს მრგვალი მაგიდა: ახალი განათლების პოლიტიკის ინიციატივები სამოქალაქო ინტეგრაციის კონტექსტში

დისკუსია:

კავკასიურ ინსტიტუტში **2010 წლის 20 იანვარს** ჩატარდა დისკუსია.

თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების მოსალოდნელი დარეგულირება: გავლენა საქართველოზე